



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

15 ნოემბერი 2017 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის  
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შექმნის  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №01 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად,

1. 2017 წლის 15 ნოემბრიდან - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ ლევან ლილუაშვილის არჩევა, მიღებულ იქნეს ცნობად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე